# შრომის ხელშეკრულება N 01/2017

ქ.ბათუმი „13" იანვარი 2018 წ.

ერთის მხრივ შპს „ახალი ბათუმი" (ს/კ 445487081) იურიდიული მისამართი ბათუმიშ. ხიმშიაშვილის ქ., N 63-ბ, ბინა N19, მისი დირექტორის როლანდ გავრილოვ-ის (პ/ნ1826722779) სახით, შემდგომში „დამსაქმებლად" წოდებული და მეორეს მხრივ მარია ზოიძე პ/ნ 61001031955 , შემდგომში „დასაქმებულად" წოდებული და ორივე „მხარეებად" წოდებული, შეთანხმდნენ შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.0 დაინიშნოს მარია ზოიძე „ახალი ბათუმი"-ში ოფისის მენეჯერის თანამდებობაზე.

1.1. შეისწავლოს და დაიცვას კომპანიის შინაგანაწესი, კომპანიისა და დასაქმებულის განყოფილების დებულება და ამ თანამდებობისათვის დამტკიცებული თანამდებობრივი/სამუშაო/შრომითი ინსტრუქცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენენ შრომითი ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს.

1.2 ამ ხელშეკრულების გაფორმებით მხარეებს შორის წყდება ადრე არსებული შრომითი ურთიერთობა და უფლება-მოვალეობანი და ადრე გაფორმებული ყველა სახის შრომითი ხელშეკრულება.

1.3. ხელშეკრულების დადებით მხარეები ასევე ადასტურებენ, რომ მათ ერთმანეთის წინააღმდეგ რაიმე სახის პრეტენზია ან სამართლებრივი მოთხოვნა ადრე არსებული შრომითი თუ სხვა ურთიერთობიდან გამომდინარე არ გააჩნიათ.

## 2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

1. „დამსაქმებელს" უფლება აქვს:

1.1. მოითხოვოს ანგარიში გაწეული სამუშაოს შესახებ;

1.2. ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მუშაკი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, არ ასრულებს წინამდებარე შრომის ხელშეკრულების მოთხოვნებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;

2. „დამსაქმებელი" მოვალეა:

2.1. უზრუნველყოს დასაქმებული ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის სათანადო პირობებით;

2.2. განახორციელოს საქმიანობა კომპანიის ინტერესების შესაბამისად.

2.3. გადაუხადოს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ოდენობითა და წესით.

3. დასაქმებულს უფლება აქვს:

3.1. ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებით;

3.2. მიიღოს შრომის ანაზღაურება შრომის ხელშეკრულებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული ოდენობითა და წესით.

4. „დასაქმებული" მოვალეა:

4.1 კეთილსინდისიერად შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობა;

4.2. დაიცვას შრომის დისციპლინა;

4.3. გაუფრთხილდეს საზოგადოების ქონებას და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ზომები ზიანის თავიდან ასაცილებლად;

4.4. გამოცხადდეს შინაგანაწესით დადგენილ სამუშაო საათებში;

4.5. იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე ხელშეკრულებითა და კომპანიის სხვა შიდა ხასიათის დოკუმენტების შესაბამისად.

## 3. შრომის ანაზღაურება

1.„დასაქმებულს“, მის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისათვის ეძლევა ანაზღაურება ყოველთვიური ნავაჭრის 10% საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით;

2. ანაზრაურების გაცემა ხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით კომპანიის მიერ ამ მოქმედებისათვის დაგენილ ადგილას;

## 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

1. მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა:
1.1. შრომითი მოვალეობების შესრულებისას მიყენებული ზიანის გამო, თუ ზიანი გამოწვეულია მისი ბრალით;
1.2. ამ ხელშეკრულებით და შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობების დარღვევისას.

## 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. ხელშეკრულება იდება ექვსი თვის ვადით.
2. დამსაქმებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება დასაქმებულს უნდა ჩაბარდეს ხელშეკრულების შეწყვეტამდე 1 კვირით ადრე მაინც.

## 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება წყდება:
ა) დამსაქმებლის ინიციატივით;
ბ) ვადის გასვლით;
გ) ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებითა და შრომის კანონმდედბლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (პირობების დარღვევისას) შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებითა და შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლებითა და წესით.
დ) მხარეთა შეთანხმებით.
ე) წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული ვადის გასვლით.
ვ) შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
2. დამსაქმებელს უფლება აქვს ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება დასაქმებულის მიერ კომპანიის ტერიტორიაზე ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერებების მიღებისას, ან ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაში ყოფნისას.
3. დამსაქმებლის ინიციატივით ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში იგი ვალდებულია დასაქმებულს გადაუხადოს ერთი თვის შრომის ანაზღაურება.
4. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მოშლის მიზეზი იქნება დასაქმებულის მიერ ხელშეკრულოებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, დამსაქმებელი თავისუფლდება მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოვალეობისაგან.

## 7. დასკვნითი დებულებები

1. ხელშეკრულების მხარეებს შორის წარმოშობილი დავა წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
2. ხელშეკრულება დგება ორ ცალად, თითოეული მხარისათვის;
3. ხელშეკრულებაში ყოველგვარი ცვლილებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით წერილობითი ფორმით;
4. მოცემული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობების დადგომისას მხარეები ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობით.

„დამსაქმებელი“
დირექტორი:
როლანდ გავრილოვ

„დასაქმებული”
მარია ზოიძე